# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 17 სექტემბერი 2007 №214 (3137)

ფასი 50 თეთრი


## სენსაცია ბორდოში: ირლანდიელებმა ქართველებს მოუგეს

RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

## სენსაცია თბილისში: ქართველებმა დაკარგული ქვეყანა აღმოაჩინეს



# ის საქართველო

საქმე ის არის, რომ ეს ყველაფერი უფრო ქართულია, ვიდრე წარმოგვიდგენია.

ასე ერის სიღრმეს მორგებული თამაში, იშვიათად.

მგონი, რაგბის ნამდვილად და გულთასახეთქად თამაში მხოლოდ იმას გამოუდის, ვისაც სიღრმეში აქვს რაღაც ისეთი, რაც ამ თამაშს უკავშირდება. დონეს კი არ ვგულისხმობ, არამედ სინამდვილეს, იმგვარი სანახაობის შექმნის უნარს, კაცს რომ ნამდვილ, სულ ბოლომდე თანამონაწილედ გაიხდის.

საქართველო უხილავ კავშირშია რაგბისთან.

ოღონდ ის საქართველო კი არა, ჩვენ რომ გვგონია საქართველო, არამედ ის საქართველო, რომელიც დაფლულია და შესაზედად დავიწყებული, გულებში კი მალიმალ წამოიფეთქებს ხოლმე.

ამ საქართველოსთან ჩვენი რაგბის კავშირი ყველაზე მგრად ბოლო ნაბიჯისას ჩანს: ბოლო ნაბიჯის არდათმობა დაცვისას, ზედ ჩვენს საზღვართან და ბოლო ნაბიჯის სიმძიმე შეტევისას, დიდი მიძალებისას.

მგონი, როგორც საქართველოს რაგბის ნაკრები თამაშობს მსოფლიოს თასზე, ზუსტად ისე მიიწევს საქართველოს ქვეყანა ევროპისკენ.

ეს არის სადღაც გადარჩენილი საქართველო.

რაც საქართველო რუკაზე არსებობს მთელ ამ საბჭოთა კავშირთა შემდეგ, მის სურვილს ყველაზე უკეთ გამოხატავს მისი რაგბის ნაკრები.

ეს გუნდი ზოგჯერ იმაზე მეტსაც აკეთებს, რაც საქართველოს შეუძლია.

სხვისი არ ვიცი და, ჩემი იმედი ამ გუნდით გამოიხატება. ალბათ ბევრისაც. მეტიც, ახალი საქართველოს სიმბოლო სწორედ ეს გუნდია: საიდანღაც, დამარხული ძველიდან მოსული გუნდი, რომელმაც ქართული შავით და თეთრით ჭრა თავისი გზა, წინათაც და ახლაც მას მიჰყვება.

არ ვიცი, სხვა ქვეყნის უფროსობა რას იზამდა ასეთ ვითარებაში. რაგბი სკოლაში უნდა ისწავლებოდეს. მოდის ამის დრო, ვინაიდან, რაოდენ მოულოდნელიც უნდა იყოს ჩვენი უსაყვარლესი, უტკბილესი, სიხარულის მომნიჭებელი სპორტებისთვის, საქართველოს სახე დღეს რაგბია.

თუ ასე არ არის, მაშინ ვიფიქროთ, კაცების რომელ კრებულს მოაქვს ჩვენთვის ასეთი უცნაური და სავსე დღებითი მღელვარება, ასეთი იმედიანი ტკივილი და ასეთი შეგრძნება, რომ საქართველო ვართ. ის, საქართველო.

**გიო ახვლედიანი**

## მსოფლიოს ჩემპიონატი
რიო დე ჟანეირო. ბრაზილია. 13–16 სექტემბერი

# ისტორიის რიოს რიონი

## ირაკლი ცირეკიძემ უახლესი ქართული ისტორია დაწერა

**ქუთაისურ** ძიუდოს სკოლაზე საუბარს აქამდე ოლიმპიურ ჩემპიონ დავით ხახალეიშვილით იწყებდნენ. ლეგენდარულ მძიმეწონოსანს ამიერიდან მხარში მეორე ოქროს კაცი ამოუდგება. ირაკლი ცირეკიძე დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი მსოფლიოს ჩემპიონია ძიუდოში.

გაზაფხულზე ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული ვერცხლი მან შაბათს გამთენიას რიო დე ჟანეიროში მსოფლიოს ოქროთი გადაფარა და ყველაფრის მომგები ქართული ძიუდოს ჯილდოთა კრებულს ის ერთადერთი მედალი მოუტანა, სრულ კოლექციას რომ აკლდა.

უახლესი ქართული ისტორიის დასაწერად ირაკლი ცირეკიძე ბრაზილიურ ტატამზე ექვსჯერ გავიდა. საჩემპიონო აღმართს პოლონელ კრჟიშტოფ ვეგლარზის ძლევით შეუყვა. გამარჯვებისთვის კი მხოლოდ სამწუთნახევარი იკმარა. მეორე წრეში ქართველმა სამხრეთკორეელ სუნ-ჰო ჩოის ვაზარი და იუკო აუღო. აქ მეტოქეს გაფრთხილებებით შეკოწიწებულმა ვაზარმაც ვერ უშველა. მონღოლ არიუნ ერდენესთან ირაკლიმ ოთხწუთნახევარში გააკეთა იპონი, ხოლო აზერბაიჯანელ ელხან მამადოვთან ოდნავ ნაკლებ დროში და ნახევარფინალში იტალიელ რობერტო მელონის დაეჭიდა. ამ შეხვედრის ბედი ჩვენებურის ორმა კოკამ გადაწყვიტა.

ყველაზე დაძაბული ოქროს შეხვედრა გამოდგა. განსაკუთრებით სასიამოვნო ის იყო, რომ ფინალს ორმა ქართველმა უწია ირაკლი ცირეკიძემ და საბერძნეთის სახელით მოჭიდავე ილიას ილიადისმა, ვისი ქართული სახელიც — უკვე არავისთვისაა საიდუმლო და — ჯარჯი ზვიადაურია. ამ უკანასკნელს ზურგს ორი წლის წინანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლი და ერთი წონითი კატეგორიით დაბლა, 81 კილოგრამში მოპოვებული ევროპული და ოლიმპიური ოქროები უმაგრებდა. ირაკლისთვის კი ბრაზილიური მსოფლიოს ჩემპიონატი პირველი იყო. მას აქამდე ყველაზე მნიშვნელოვან ტურნირზე ევროპირველობაზე ეჭიდავა.

ძირითად დროში ვერც ერთმა ძიუდოისტმა ვერ შეძლო ილეთის გაკეთება. დამატებით ხუთწუთეულში კი ცირეკიძემ ოქროს იუკო შეასრულა.

საინტერესოა, რომ 90 კილოგრამის ქართველ ჩემპიონს კოკა რომ კოკაა, ისიც ვერვინ გაუკეთა.

ტურნირის მეორე-მესამე დღეს ტატამზე კიდევ სამი ჩვენებური გავიდა და მედალს ვინ ჩივის, ოლიმპიური ლიცენზიაც კი მხოლოდ ერთმა, დავით ქევხიშვილმა (73კგ) აიღო. თურქ სეზარ ჰუისუზთან მეოთხედფინალის შემდეგ რეპეშაჟი მოგებით დაიწყო, ძლიერი ფრანგი დანიელ ფერნანდესი დააიპონა და ბრინჯაომდე ერთი ნაბიჯილა რჩებოდა, მაგრამ მოულოდნელად ტაჯიკ რასულ ბოგიევთან წაიფორხილა და მეხუთე ადგილზე გავიდა. აქვე ქევხიშვილისგან მეოთხედფინალამდე ჩამოცილებული მეტოქეებიც ვახსენოთ: ესპანელი კიოში უემაცუ, ბერძენი არის კოტანიდისი და ჰოლანდიელი ბრაიან ვან დიკი..

ყველაზე მეტს ქართველი გულშემატკივარი ზაზა კედელაშვილისგან (66კგ) ელოდა, მაგრამ ევროპის ორგზის ჩემპიონს მსოფლიოს ტატამზე გასვლა მხოლოდ ერთადერთხელ მოუხდა. პირველსავე წრეში უნგრელ მიკლოშ უნგვარისთან წააგო და რახან ამან ნახევარფინალს ვერ მიაღწია, ზაზამ ბრინჯაოს შანსიც დაკარგა.

პეკინის ლიცენზიას რიოში პირველი რვეული იღებს. გიორგი ბაინდურაშვილმა (81კგ) კი ჩემპიონატი მეცხრე ადგილით დაასრულა. არგენტინელი ემანუელ ლუცენტისა და მაკედონიელი მაკლეონ პაულინის ძლევის მერე მერვედფინალში მომავალ ჩემპიონს, ბრაზილიელ ტიაგო კამილოს გადაეყარა და ვერ გასცდა. რეპეშაჟში კი ხორვატმა ტომისლავ მარიანოვიჩმა შეაჩერა.

და სულ ახალი ამბავი: გუშინ, ტურნირის მეოთხე დღეს 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ნესტორ ხერგიანი ნახევარფინალში გავიდა და სულ ცოტა ოლიმპიური ლიცენზია გაინაღდა. მის ამბავს დაწვრილებით ხვალ შეგატყობინებთ.

**ოთარ ფაღლაძელიძე**




| 66 კგ | 73 კგ | 81 კგ | 90 კგ |
|---|---|---|---|
| 1 ჟოაო დერლი (ბრაზილია) | 1 კი ჩუნ ვანგი (ს. კორეა) | 1 ტიაგო კამილო (ბრაზილია) | 1 ირაკლი ცირეკიძე (საქართველო) |
| 2 იორდანის არენსიბია (კუბა) | 2 ელნურ მამადლი (აზერბაიჯანი) | 2 ენტონი როდრიგესი (საფრანგეთი) | 2 ილიას ილიადისი (საბერძნეთი) |
| 3 არაშ მირესმაილი (ირანი) | 3 რასულ ბოგიევი (ტაჯიკეთი) | 3 იან ბარტონი (ბრიტანეთი) | 3 რობერტო მელონი (იტალია) |
| 3 მიკლოშ უნგვარი (უნგრეთი) | 3 იუსუკე კანამარუ (იაპონია) | 3 ჟილომ ელმონი (ჰოლანდია) | 3 ივან პერშინი (რუსეთი) |
| - ზაზა კედელაშვილი (საქ) | 5 დავით ქევხიშვილი (საქ) | 9 გიორგი ბაინდურაშვილი (საქ) | |

# RUGBY WORLD CUP 2007

**საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი**



ჟაკ ფურის სამხრეთ აფრიკამ ინგლისური დაცვისგან არაფერი დატოვა

# მსოფლიოს ჩემპიონი წაიშალა

„რომანტიკოსები ამბობენ, რომ სამარცხვინოა ჩაკეტილი თამაშით წარმატების მიღწევა, მაგრამ მე მინდა, შევახსენო მათ — ეს მსოფლიოს თასია და არა სკოლის მოსწავლეების შეჯიბრი. მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში დაცვითი სტილის მიმდევარმა ნაკრებმა მოიგო და მეც მეამაყება, რომ ჩვენი გუნდიც დაცვის ეტალონად ითვლება" — თქვა სამხრეთ აფრიკის ნაკრების თავკაცმა ჯეკ ვაიტმა მსოფლიოს ჩემპიონ ინგლისის განადგურების შემდეგ.

მიმდინარე მსოფლიოს თასზე ნოლზე მხოლოდ ინგლისმა წააგო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ალბიონელები უფრო დიდი სხვაობით დამარცხებასაც იმსახურებდნენ, მაგრამ რიგ შემთხვევებში გაუმართლათ კიდეც.

სამხრეთ აფრიკას განსაკუთრებული ძალისხმევა არ დასჭირვებია, ისე დაჩაგრა მსოფლიოს თასის მფლობელები თამაშის ორგანიზებაშიც, შეტევაშიც, დაცვაშიც, სისწრაფეშიც და მათი სარაგბო ისტორიის თეთრი ბაირაღი გვარიანად დაალაქავა.

„ვარდების" რიგებში ერთადერთ ნათელ წერტილად მოჩანდა მულატი ჯეისონ რობინსონი. წინა თასის ერთ-ერთმა გმირმა, ახლა აშკარად ასაკოვანმა, მაგრამ მაინც მთელი ინგლისის მჯობნმა რობინსონმა ყველაზე ვაჟკაცურად იბრძოლა, ტანად ჩიამ არც დევივით აფრიკელების მუშტ-წიხლებს მოარიდა თავი, მეორე ტაიმში კი ტრავმა მიიღო და ინგლისის ფანებმა ალალი ტაშით გააცილეს.

აი, რაც შეეხება მთლიანად ინგლისის ნაკრებს, მსოფლიოს ჩემპიონები ტაშის დაკვრას კი არა შაყისკვრას იმსახურებდნენ. „ალბიონელთა" კაპიტანმა მარტინ ქორიმ განაცხადა, ჩვენთვის ეს მარცხი უდიდესი დარტყმა იყო და მართალიც გახლდათ — მათ ხომ მსოფლიოს თასების ისტორიაში მშრალი ანგარიშით პირველად წააგეს.

დანოკაუტებულ „ვარდებს" ახლა საკმაო დრო აქვთ იმისთვის, რომ შემდეგი თამაშებისთვის აზრზე მოვიდნენ და სხვებთან — სამოასა და ტონგასთან ჯახიებსთვის მოემზადონ.

სამხრეთ აფრიკის ნაკრები კი ძალზე დამაჯერებლად რაგბობენ. „ქურციკები" იმდენად ძლიერად გამოიყურებიან, რომ თითქმის წარმოუდგენელია მათი დამარცხება. ჰაერგაუმტარი დაცვა მათი ბეკების — პერსი მონტომერის, ბრაიან ჰაბანას, ჯეიპი პიტერსენის და ფრანც შტეინის წყალობით დამანგრეველ შეტევად გადაიქცევა ხოლმე.

მსოფლიოს თასზე მობურთავე ბობოლებიდან ჯერჯერობით ყველაზე გოროზად და დამთრგუნველად „ქურციკები" რაგბობენ, ხოლო ჯგუფური ეტაპის დამთავრების შემდეგ სხალკ ბურხერის შემატებასან ერთად, სავარაუდოდ, მათი საჩემპიონო ამბიციებიც ერთიორად გაიზრდება.

**ზურაბ მიგრიაული**

# ავსტრალიამ დრაკონი ამოატრიალა

**ავსტრალიამ** უელსის მისსავე სახლში, კარდიფის „მილენიუმზე" ძლევით კიდევ ერთხელ ამცნო ოვალურ სამყაროს თავისი საჩემპიონო ამბიციების შესახებ. სტირლინგ მორტლოკმა მორიგი ფანტასტიკური მატჩი ჩაატარა თავის კარიერაში. მას მხარი ლათამმა და ჟიტუმაც აუბეს და „ვოლაბებმაც" უელსელი „დრაკონები" ზომიერი ანგარიშით, მაგრამ აუღელვებლად, დამაჯერებლად და კლასიკური რაგბის თამაშით დაამარცხეს.

უელსელთათვის გადამწყვეტი მომენტი მეორე ტაიმში დადგა, როცა სტივენ ჯონსმა შორიდან დარტყმული აბრაგანი ვერ დაიჭირა და ბურთი კრის ლათამს ჩაუგდო ხელში. მასაც ლელოს გატანა აღარ გასჭირვებია.

დროდადრო ბრიტანელები ართმევდნენ ავსტრალიელებს მატჩის სადავეებს ხელიდან, მაგრამ მათი არასტაბილური მცდელობა თამაშის მოსაგებად საკმარისი არ აღმოჩნდა.

# შავებს პორტუგალიაც შემოენადგურათ

**ახალ ზელანდიას** კიდევ ერთი ქაჭა ევროპელი შემოენადგურა. C ჯგუფში მაორების წინააღმდეგობის გამწევი გუნდი არ ჩანს. გულშემატკივარი არც ელოდა პორტუგალიელებისგან სასწაულს და ზელანდიურმა „შავმა არმიამ" ნიაღვარივით წალეკა მსოფლიოს თასის დებიუტანტები. ავსტრალიის, საფრანგეთის, სამხრეთ აფრიკისა და სხვა გრანდებისგან განსხვავებით, ახალზელანდიელებს ჯერ არ გამოუმჟღავნებიათ ნამდვილი ძალა და შესაძლებლობები. სხვა საქმეა იტალიის და პორტუგალიის დარ გუნდთა დაჩაგვრა და სულ სხვა დიდრონ მეტოქეებთან მოსალოდნელი ჯახები. ენახოთ, ჯერ ყველაფერი წინაა და რომანტიკოს მაორებს კიდევ მოუწევთ ნამდვილი გამოცდების ჩაბარება.

აღსანიშნავია, რომ ძირითადში ითამაშა ჯო როკოკოკომ, რომლის ლელოთიც დაიწყო პორტუგალიელთა რბევა. როკოკოკომ კიდევ ერთი, „ოლ ბლექსის" მაისურით რიგით მე-40 ლელოც გაიტანა და ამ შეხვედრის შემდეგ ეგრეთ წოდებულ ორმოციანთა დიდ ექვსეულს მეშვიდე კაცად დაემატა.

პორტუგალიელებს კი ეს დღე სიცოცხლის ბოლომდე არ დაავიწყდებათ. ასტრონომიული სხვაობით წაგების გარდა, ლუზიტანიელები გულში ჩაიბეჭდავენ მსოფლიოს თასების ისტორიაში თავიანთ პირველ ლელოს, რომელიც შეცვლაზე შესულმა რუი კორდეირომ მოინადირა.

**ზურაბ მიგრიაული**

## A ჯგუფი

14 სექტემბერი. პარიზი

### ინგლისი 0:36 სამხრეთ აფრიკა

ინგლისი: რობინსონი, ლუსი, ნუნი, ფარელი, სეკი; ქეთი, პერი; ისტერი, რისი, ქორი (კაპ), ქეი, შოუ, სტივენსი, რეგანი, შერიდანი

სათადარიგოები: შეთერი, ფრეშვოთერი, ბორსუკი, მუდი, გომარშალი, რიჩარდსი, ტაიტი

სამხრეთ აფრიკა: მონტგომერი, პიტერსენი, ფური, შტეინი, ჰაბანა; ჯეიმსი, დუ პრეეცი; როსოუ, ი. სმიტი, ფან ჰეერდენი, მეტფილდი, ბ. ბოთა, ბჯ. ბოთა, ჯ. სმიტი (კაპ), დუ რანდტი

სათადარიგოები: დიუ პლესი, ფან დერ ლინდე, მიულერი, სკინსტადი, პინარი, პრეტორიუსი, ოლივერი

3 ლ: სმიტი, პიტერსენი (2); 3 გ: მონტგომერი ; 5 ს: შტეინი, მონტგომერი (4)

16 სექტემბერი. მონპელიე

### სამოა 15:19 ტონგა

სამოა: უილიამსი, ტაგიკაკიბაუ, სევეალიი, მაპუსუა, ტუილაგი; კრიჩტონი, ს. სოოიალო; სიტიტი (კაპ), ულია, ლეო, ტომსონი, ტეკორი, ჯონსტონი, შეალგერი, ვაა

სათადარიგოები: ფუგა, სალანოა, ლაფაიალიი, პურდიე, პოლუ, ლაი, ლემი

5 ს: უილიმსი

ტონგა: ლილო, ტუიფუა, ჰუფანგა, ტაიონე, ვაკა; ჰოლა, ტაუფა; მაკა, ლატუ (კაპ), პოლე, ჰეა, აფეაკი, პულუ, ტაუკაფა, ტონგაუიფა

სათადარიგოები: ლუტუი, ტოკე, ვაკი, კაუჰენგა, ტუიპულოტუ, ტუპოუ, ტონგაუიპა

1 ლ: ტაიონე; 1 გ: ჰოლა; 4 ს: ჰოლა

| | თ | მ | ფ | წ | სხ | ბონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ აფრიკა | 2 | 2 | 0 | 0 | +88 | 1 | 9 |
| ტონგა | 2 | 2 | 0 | 0 | +14 | 0 | 8 |
| ინგლისი | 2 | 1 | 0 | 1 | -18 | 0 | 4 |
| სამოა | 2 | 0 | 0 | 2 | -56 | 1 | 1 |
| აშშ | 2 | 0 | 0 | 2 | -28 | 0 | 0 |

## B ჯგუფი

15 სექტემბერი. კარდიფი (უელსი)

### უელსი 20:32 ავსტრალია

უელსი: გ. ტომასი (კაპ), მ. ჯონსი, შანკლინი, პარკერი, შ. უილიამსი; ს. ჯონსი, პილი; ჯ. ტომასი, მ. უილიამსი, შარვიზი, ალ. ჯონსი, გუ, ა. ჯონსი, რიისი, ჯენკინსი

სათადარიგოები: რ. ტომასი, დ. ჯონსი, ოუენი, პოპჰემი, ფილიპსი, ჰუკი, მორგანი

2 ლ: ჯ. ტომასი, შ. უილიამსი; 2 გ: ჰუკი; 2 ს: ს. ჯონსი, ჰუკი

ავსტრალია: ლათამი, მიჩელი, მორტლოკი (კაპ), ჟიტუ, ტუკირი; ბარნსი, გრეგანი; პალუ, სმიტი, ელსომი, ვიკერმანი, შარპი, შეფერდსონი, მური, დანინგი

სათადარიგოები: ფრეიერი, ბაქსტერი, ჩიშოლმი, ჰოილისი, ვუ, სტეინფორტი, ჰუქსლი

4 ლ: ჟიტუ, მორტლოკი, ლათამი (2); 3 გ: მორტლოკი (2), ჟიტუ; 1 ს: მორტლოკი; 1ა: ბარნსი

16 სექტემბერი. კარდიფი (უელსი)

### ფიჯი 29:16 კანადა

ფიჯი: რატუვოუ, დელასაუ, რაბენი, ბაი, ნეივუა; ლიტლი, რაულუნი (კაპ); კოუმაიბოლი, ქირა, ნაევო, რავაქა, ლეაველი, რაილომო, კოტო, დივისი

სათადარიგოები: საუტურაგა, ქოდრავუ, ტალეი, ჰოვუ, დაუნივუცუ, კუნავორე, ლიგაირი

4 ლ: ლეაველი, რატოვოუ (2), დელასაუ; 3 გ: ლიტლი; 1 ს: ლიტლი

კანადა: პუკი, ფან დერ მერვი, ქულპანი, სფისირი, პრიტჩარდი; რ. სმიტი, უილიამსი (კაპ); სტეფანი, ბიდლი, კუდმორი, ჯეიმსი, ბურაკი, ტიელი, რიორდანი, სნოუ

სათადარიგოები: კარპენტერი, დ. ფლეტჩი, მ. ფლეტჩი, ტაიტი, ვუკესი, ფაირურსტი, მონრო

1 ლ: სმიტი; 1 გ: რიჩარდი; 3 ს: რიჩარდი

| | თ | მ | ფ | წ | სხ | ბონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 2 | 2 | 0 | 0 | +100 | 2 | 10 |
| ფიჯი | 2 | 2 | 0 | 0 | +17 | 2 | 10 |
| უელსი | 2 | 1 | 0 | 1 | +13 | 1 | 5 |
| იაპონია | 2 | 0 | 0 | 2 | -92 | 1 | 1 |
| კანადა | 2 | 0 | 0 | 2 | -38 | 0 | 0 |

## C ჯგუფი

15 სექტემბერი. ლიონი

### ახალი ზელანდია 108:13 პორტუგალია

ახალი ზელანდია: მულიაინა, ტოეავა, სმიტი, მაუგერი, როკოკოკო; ევანსი, ლეონარდი; ლაუაკი, მასოო, კოლინზი (კაპ), უილიამსი, ჯეკი, სომერვილი, ჰორი, ტიალატა

სათადარიგოები: ოლივერი, ვუდკოკი, ჰეიმანი, სოოიალო, მეალამუ, ელისი, მაკდონალდი

16 ლ: როკოკოკო (2), ტოეავა, უილიამსი, მაუგერი (2), კოლინზი, მასო, ჰორი, ლეონარდი, ევანსი, ელისი, სმიტი (2), მაკდონალდი, ჰეიმანი; 14 გ: ევანსი

პორტუგალია: ლეალი, აგილარი, პორტელა, მატეუში, კარვალიო; მალეირუ, პისარა; ვ. უვა (კაპ), კოუტინიო, მურინელო, გ. უვა, დორეი, სპაჩუკი, კორეია, სილვა

სათადარიგოები: კორდეირო, ფერეირა, პენალვა, გირო, ჯ. უვა, პინტუ

1 ლ: კორდეირო; 1 გ: პინტო; 1 ს: პინტო; 1 ა: მალიერუ

| | თ | მ | ფ | წ | სხ | ბონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ახალი ზელანდია | 2 | 2 | 0 | 0 | +157 | 2 | 10 |
| შოტლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | +46 | 1 | 5 |
| იტალია | 2 | 1 | 0 | 1 | -56 | 0 | 4 |
| რუმინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -6 | 1 | 1 |
| პორტუგალია | 2 | 0 | 0 | 2 | -141 | 0 | 0 |

# RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

საქართველოს ნაკრების თამაშებს
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ირლანდია 14:10 საქართველო

ბორდო. სტად შაბან დელმა. 35 000 მაყურებელი. მსაჯი: უეინ ბარნსი (ინგლისი)

5:0 (რ. ბესტი, 16), 7:0 (ოგარა, 16), 7:3 (კვირიკაშვილი, 37),
7:8 (შკინინი, 45), 7:10 (კვირიკაშვილი, 45), 12:10 (დემფსი, 55), 14:10 (ოგარა, 55)

ირლანდია: დემფსი, ჰორგანი, ოდრისკოლი (კაპ), დარსი, ჰიკი; ოგარა, სტრინგერი; ლემი, დ. ვოლესი, ისტერბი, ოკონელი, ოკალაჰანი, ჰეიესი, რ. ბესტი, ჰორანი
სათადარიგოები: ფლანერი, ს. ბესტი, ოკელი, ნ. ბესტი, ბოსი, პ. ვოლესი, მერფი
მწვრთნელი: ედი ოსალივანი
2 ლ: რ. ბესტი, დემფსი; 2 გ: ოგარა

საქართველო: ბარკალაია, შკინინი, ურჯუკაშვილი, კაჭარავა, ელიზბარაშვილი; კვირიკაშვილი, სამხარაძე; ჩხაიძე, ურუშაძე, ი. მაისურაძე, გორგოძე, ზედგინიძე (კაპ), კოპალიანი, შველიძე, მაგრაქველიძე
სათადარიგოები: ა. გიორგაძე, ხინჩაგაშვილი, დათუნაშვილი, ზ. მაისურაძე, აბუსერიძე, მაჩხანელი, ელოშვილი
მწვრთნელი: მალხაზ ჭეიშვილი
1 ლ: შკინინი; 1 გ: კვირიკაშვილი; 1 ს: კვირიკაშვილი

D ჯგუფი

16 სექტემბერი. ტულუზი

საფრანგეთი 87:10 ნამიბია

| | თ | მ | ფ | წ | სხ | ბონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | +35 | 1 | 9 |
| ირლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | +19 | 1 | 9 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | +72 | 2 | 6 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | -34 | 1 | 1 |
| ნამიბია | 2 | 0 | 0 | 2 | -92 | 0 | 0 |

# ყელში მოწოლილი: აი, საქართველო!

**ხომ ყველამ** ნახეთ ეს თამაში? ხოლო ვინც იცოდა, რომ მსოფლიოს თასის მეორე შეხვედრაში საქართველო ირლანდიას ხვდებოდა და ღამის პირველ საათამდე კლიპებს და „კინოებს" უყურა, მის გასაგონად ვიტყვი, რომ ტყუილად უდევს სახლში ტელევიზორი.

რას ნახავთ ამაზე უკეთესს?! რა შეიძლება ნახოთ?! სად შეიძლება ნახოთ ამაზე ძლიერი და ამაზე ნამდვილი საქართველო?! ასე ერთ მუშტად შეკრული და ასე გაუტეხელი?! სულ რომ არ ვიყო რაგბის აზრზე და სპორტის ამ სახეობაში უხეშობის მეტს ვერაფერს ვამჩნევდე, ამ ზღაპრული თამაშის შემდეგ შევიყვარებდი რაგბის როგორც ქართველი ხალხის უდიდეს სარბიელს და გასაქანს. შვილი რომ მყავდეს, რაგბის მწვრთნელს ჩავაბარებდი, მილიონები რომ მქონდეს, ქართულ რაგბის მოვახმარდი!.. რა გითხრათ, ძნელია ასეთის ნახვის და განცდის შემდეგ დამშვიდება.

და რა იქნებოდა, რომ მოგვეგო! წარმოდგენაზეც კი გაგაჟრჟოლებს... ბოლოს, ქართველები ირლანდიელთა დაცვის მწკრივს რომ ლეწდნენ და ლელოზე მიიწევდნენ, ჩვენს კომენტატორებს ხმა აუკანკალდათ! სამი ათასი კილომეტრის იქით, ფრანგულ ქალაქ ბორდოში 15 სექტემბერს 22 ქართველი ვაჟკაცი ისეთი რამეებს სჩადიოდა, რომ მთლად ქვაც რომ ყოფილიყავი, მაინც ჩიტივით წამოფრინდებოდი სკამიდან.

ნუ გაღიზიანდებით, ქართველი მორაგბეები ცაში რომ აგვყავს და ლამის ჩვენც თან მივყვებით. სპორტი ხომ საბჭოეთის დროშიც იყო ეროვნული სიამაყის თავშესაფარი და ახლა ხომ არის და არის. არავინ აკეთებს ქართულ საქმეს ისე გულიანად, ისე ალალად, ისე თავდაუზოგავად და ისე ნამდვილად, როგორც ქართველი მორაგბეები,



AFP მოწოდებით

ქართველი დევები და გმირები, და ჩვენ გვეამაყება მათი.

მაგრამ საქართველოს სარაგბო ნაკრების მართლაცდა გადასარევ თამაშს მხოლოდ მათი თანამემამულეები როდი აღიარებდნენ. 15 სექტემბრის ღამეს ირლანდიელები და ინგლისელები, რაგბის პროფესიონალი ანალიტიკოსები თუ ლუდით გაჟღენთილი მაყურებლები აქებდნენ მხოლოდ ერთ გუნდს და ავტორიტეტულ ვებგვერდებზე თუ სამოყვარულო ინტერნეტ-ფორუმებში დარწმუნებით ამბობდნენ, რომ ირლანდია — საქართველო არის საუკეთესო თამაში ამ მსოფლიოს თასზე. საქართველოს რომ მოეგო, ეს იქნებოდა უდიდესი სენსაცია რაგბის მსოფლიოს თასების 20-წლიან ისტორიაში და ზურმუხტოვან კუნძულზეც არ ერიდებათ იმის აღიარება, რომ საქართველომ აშკარად აჯობა ირლანდიას, თან არ დაგავიწყდეთ, რომ უძლიერეს ირლანდიას. ედი ოსალივანს არ ჰყავს ამაზე უკეთესი მორაგბეები: ბრაიან ოდრისკოლი და დენის ჰიკი, რონან ოგარა და პოლ სტრინგერი, პოლ ოკონელი და დონჩა ოკალაჰანი... ყველა, ვინც კუნძულ ირლანდიაზე რაგბის ნამდვილი ვარსკვლავია, გუშინწინ მოედანზე იყო და ცდილობდა, გარკვეულიყო, საქართველოს ეთამაშებოდა თუ მარადიულ მოსისხლეს, მრისხანე ინგლისს. ბრაიან ოდრისკოლი, ეს მართლაც გენიალური მორაგბე განა ვერ თამაშობდა?! თამაშობდა და ხაზიც გაგვიჭრა-გამოგვიჭრა, მაგრამ მას შეტევაზე არანაკლები ძალისხმევა სჭირდებოდა ქართველთა მოძალებისგან თავის დაცვისას. ხომ გახსოვთ, შეშლილი სახით რომ გამოჰქონდა ბურთი თავისი ჩათვლის მოედნიდან?! ხომ დაინახეთ მის თვალებში მეტოქის შიში და პატივისცემა?! მასზე უკეთესი მორაგბეები მხოლოდ ახალ ზელანდიას ჰყავს. და თუ სიმართლე გინდათ, ამ ირლანდიას ახალი ზელანდიაც ვერ მიაჯაჭვებს თავის 22-მეტრიან მოედანს 20 წუთით. საქართველომ კი მიაჯაჭვა! მამუკა გორგოძემ და გიორგი ჩხაიძემ მიაჯაჭვეს, ილია და ზვიად მაისურაძეებმა მიაჯაჭვეს, მამუკა მაგრაქველიძემ, გოდერძი შველიძემ, ავთო კოპალიანმა, ილია ზედგინიძემ, რატი ურუშაძემ, ბიძინა სამხარაძემ, მერაბ კვირიკაშვილმა, დავით კაჭარავამ, გიორგი ელიზბარაშვილმა, ოთარ ბარკალაიამ, აქსენტი გიორგაძემ, დავით ხინჩაგაშვილმა, ლევან დათუნაშვილმა, ირაკლი აბუსერიძემ, მალხაზ ურჯუკაშვილმა, ოთარ ელოშვილმა, ირაკლი მაჩხანელმა... ყველამ!

და გიორგი შკინინმა!

არა, არ გამოგვრჩენია ეს ქარივით ბიჭი! რა ლელო დადო, პირველი და ნამდვილი ლელო!

ეს რაღაც ისტერია იყო. კიდევ გეკითხებით — გინახავთ ასეთი ლონიერი და გონიერი საქართველო? ძნელად რომ სადმე ნახოთ. ჩვენს მორაგბეებს არასდროს აკლდათ შემართება და მათთვის 80-წუთიან თამაშში თავის ბოლომდე დადება ჩვეულებრივ ამბადაა ქცეული. არგენტინასთან ისინი ომობდნენ, აი, ირლანდიასთან კი თამაშობდნენ და მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს კბილებს ამტვრევდნენ. ღმერთო, რა იქნებოდა, ჩვენი ქვეყანა რომ ჰგავდეს გუშინწინდელ საქართველოს ნაკრებს, პატარას, მაგრამ დიდთან ბოლომდე მეომარს, ლონიერს და თან გონიერს!

საქართველომ 10:14 წააგო, მაგრამ მოგებული გამოვიდა ამ კვეთებიდან. რა მოიპოვეს „ლელოებმა" ამ თამაშში? უამრავი რამ: ისევ და ისევ ერის სიყვარული, სარაგბო სამყაროს პატივისცემა და, არ დაგავიწყდეთ, პირველი ქულა მსოფლიოს თასზე, 7-ზე ნაკლები ქულით ანუ ღირსეულად წაგებისთვის. ღირსება და სიამაყე მოიპოვეს.

**ირაკლი ფირცხვილი**

RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

# RUGBY WORLD CUP 2007

საფრანგეთი. 7 სექტემბერი — 20 ოქტომბერი

საქართველოს ნაკრების თამაშებს წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ეს სიზმარია, ეს სიზმარია!



## მალხაზ ჭეიშვილი: ვირწმუნოთ და მოვიხსნათ კომპლექსი

**მატჩის შემდეგ ირლანდიელთა კაპიტანმა ბრაიან ოდრისკოლმა დავით კაჭარავას უთხრა, ჩემს დაჭერას ვინმე თუ შეძლებდა არ ვიცოდიო, ხოლო გიორგი შკინინს თავზე ხელი გადაუსვა, ბრწყინვალე იყავიო — ეს ამბავი გუშინ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მალხაზ ჭეიშვილმა გვითხრა, საფრანგეთში რომ დავუკავშირდით**

AFP

**— ალბათ თქვენც არ ელოდით, რომ ირლანდიას საქმეს მატჩის გადასარჩენად გაუხდიდით. რაც უნდა იყოს, ბოლო ოცდაათი წუთი ძალიან ძლიერი მეტოქე თავის ნახევარზე გყავდათ ჩაკეტილი...**

— ამას მე კი არა, ალბათ მაყურებელიც არ ელოდა, მაგრამ აქ მთავარი ის არაა, ირლანდია ჩაკეტილი გვყავდა, ჩახუტული თუ მოშწყვდეული. მთავარი ისაა, რომ ნებისმიერი მატჩის წინ ბიჭები საბრძოლო განწყობით იმუხტებიან, მოედანზე თავს დებენ და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბოლომდე იხარჯებიან ჯახში. ირლანდიას მართლაც ვაჯობეთ. სამწუხაროდ, უმთავრესში, ანგარიშში წავაგეთ.

**— მაგრამ ბოლოსკენ ლელოს გატანის რამდენიმე შანსი გქონდათ. ამ დროს თუ გჯეროდათ, რომ მოგება რეალური იყო?**

— ჩვენ, მწვრთნელებმა კი ვირწმუნეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ბიჭებმა ვერ დაიჯერეს, რომ სენსაციის მოხდენა შეეძლოთ. ჩვენი მთავარი პრობლემა რწმენაშია. ბიჭებმა ბოლომდე ვერ გააცნობიერეს, რამხელა პოტენციალი აქვთ. როდესაც „დიდი გუნდების" კომპლექსს საბოლოოდ დავძლევთ, გრანდების დამარცხებაც შეგვეძლება.

**— როდესაც საგრძნობ უპირატესობას ფლობდით, მაშინ რამდენჯერმე დაარტყით არეკნი. ეს თქვენი დავალება იყო?**

— დავალებაც იყო და ვითარებაც მოითხოვდა. ანგარიშში არც ისეთი უსაშველო სხვაობა იყო და ამ სამი თუ ოთხი არეკნიდან ერთიც რომ გასულიყო, მატჩის ბოლოს მაინცდამაინც ლელოს გატანა აღარ დაგვჭირდებოდა. ჯარიმას დავარტყამდით და ანგარიშშიც დავწინაურდებოდით. საბოლოოდ ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა. გული ძალიან კი გვწყდება, მაგრამ რას ვიზამთ...

**— მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ირლანდიელებმა რა თქვეს?**

— არ ვიცი, რადგან პრესკონფერენციას მეტოქეები ცალ-ცალკე ატარებენ. მათი მწვრთნელი ედი ოსალივანი კი მატჩის შემდეგ მოედნის კიდესთან გახევებული იდგა და ბუტბუტით იმეორებდა — ეს სიზმარია, ეს სიზმარია...

**— ირლანდიელებს არც მატჩისშემდგომ ბანკეტზე დალაპარაკებიხართ?**

— არ ვიცი, რატომ, მაგრამ ტრადიციული „მესამე ტაიმი" რატომღაც ამ მსოფლიოს თასზე, არ იმართება, რაც ძალიან უცნაურია.

**— ახლა მთავარი მატჩი გელით ნამიბიასთან... აფრიკელებს არგენტინასთან ნათამაშებ შემადგენლობას დაუპირისპირებთ?**

— არა მგონია, ასე იყოს. თქვენც დარწმუნდით, რომ საქართველოს ნაკრებში მცნება „ძირითადი" და „სათადარიგო" არ არსებობს. ირლანდიასთან ბიჭებმა სასწაულები აკეთეს. როდესაც ოცდაათივე მორაგბე საიმედოა და ღირსია ითამაშოს, ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ, მეორეს მხრივ, მწვრთნელებისთვის რთული ასარჩევია, ვის უნდა დაეყრდნოს. ნამიბიასთან მატჩამდე ათი დღეა და ეს საკმარისი დროა, საუკეთესო ვარიანტი ავირჩიოთ.

**ბაჩო სვანიძე**

## www.planetrugby.com ირლანდია – საქართველოზე

**მატჩის გმირი:** დენის ლემი, ბრაიან ოდრისკოლი და გორდონ დარსი — სამივემ კარგად ითამაშა, მაგრამ ეს დღე მაინც ქართველების იყო. თუ ნასა-ს ოდესმე თავიანთი ხელოვნური თანამგზავრებისთვის ეკოლოგიურად სუფთა გამშვები დასჭირდა, შეუძლია მერაბ კვირიკაშვილის ფეხი გამოიყენოს. მაგრამ მაინც, ჩვენ წარმოგიდგენთ **გიორგი შკინინს**, რომელიც ყველაზე მეტად იმსახურებს ტიტულს. მან დაცვაშიც და თავდასხმაშიც მთელი სული და გული ჩადო.

**მატჩის საუკეთესო ეპიზოდი:** რა თქმა უნდა **გიორგი შკინინის ლელო**, ლელო რომლის გამოც ირლანდიელებს გული ყელში გაეჩხირათ.

**მატჩის ყველაზე ბინძური მომენტი:** არავინ იცის ვინ წამოიწყო **მატჩის ბოლოს ჩხუბი**, მაგრამ ამას ბევრი მაინც არაფერი ნაუხდენია — ეს თამაში მსოფლიოს თასების ისტორიაში შევა.



## რაგბი მათთვის მოგონილი თამაშია

**ირლანდიელი და ინგლისელი რაგბის ფანები ერთსულოვნად აღფრთოვანდნენ საქართველოს ნაკრებით და ინტერნეტ-ფორუმებში მთლად კომპლიმენტებად დაიღვარნენ**

**Seanies32:** მოგებას საქართველო უფრო იმსახურებს, თუ მოვიგეთ მაგარი უსამართლობა იქნება. გულწრფელად ვიტყვი. დღეს მოედანზე საქართველო უკეთესი გუნდია.

**Longfield:** სამწუხაროა, მაგრამ წაგებას ვიმსახურებდით.

**is_that_so:** საშინლად ვითამაშეთ. ვულოცავ ქართველებს კარგ თამაშს. ერთი გუნდი მაინც თამაშობდა რაგბის ამ მატჩში.

**admiralofthefleet:** შემეცოდა ქართველები, აშკარად მოგებას იმსახურებდნენ. ამ საღამოს უკეთესმა გუნდმა წააგო.

**Eds:** საქართველო შეიდი ერის თასზე !!! ამ გადმოსახედიდან ნამდვილად იმსახურებენ. მე ირლანდიური რაგბის გულშემატკივარი ვარ და საქართველოს ვულოცავ კარგ თამაშს. ამ ბიჭებიდან ყველამ დაიმსახურა კონტრაქტები ევროპის წამყვან კლუბებთან.

**NTA:** „კარგი იყო ლელოები". თქვენი მოთამაშეები უბრალოდ ლუდის მშთანთქმელი გოლიათები აღარ არიან აშკარად. 2003 წლის შემდეგ მაგარი პროგრესი გეტყობათ.

**14-10?:** იმედია ირბ ამ ტურნირს 20 გუნდიანად დატოვებს.

**MiketheSnow:** მთელი თამაშის განმავლობაში მეგონა, რომ ინგლისი — ირლანდიას ვუყურებდი.

**Poolersaint:** დროა ექვსი ერის მონაწილეებმა უფრო მეტი დრო დაუთმონ საქართველოს და რუმინეთს. მხოლოდ ასე გააუმჯობესებენ ეს გუნდები თამაშს. ისინი იმსახურებენ აღიარებს და ტესტ-მატჩებს ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ძლიერ გუნდებთან.

**eugenius:** ძალიან ახლოს იყვნენ მოგებასთან. ეს საღამო რაგბისათვის ძალიან კარგი იყო.

**missincredible:** არ ვიქნებით მართალი თუ ვიტყვით, რომ ირლანდიელებმა ჩააგდეს ეს თამაში. საქართველოს სათანადოდ ვერ ვაფასებთ. თუ 300 რეგისტრირებული მორაგბით და 7 სარაგბო სტადიონით ამდენს აღწევენ, წარმოიდგინეთ რას იზამენ ეს ხალხი რომ ცოტათი დააფინანსონ და მწვრთნელებს კვალიფიკაცია აუმაღლონ. ამ ბიჭებს მუშაობა არ ეზარებათ. რაგბი მათთვის მოგონილი თამაშია. ამ მსოფლიო ჩემპიონატზე უკვე იმაზე მეტი ვნახე რასაც ველოდი.

**lemonhead:** ასე თუ გაგრძელდა, ნამდვილად კარგ იდეად მეჩვენება ექვს ერზე გავარდნისა და ერთა თასიდან გადმოსვლის სისტემა დაინერგოს

**Ireland's Call:** ძალიან მაგრები არიან. დიდი გულები, დიდი კაცები, ჭკვიანური ტაქტიკა და ბურთს ხომ ვერ ვართმევდით და ვერ ვართმევდით

**2ranaki Snapper:** ეს ერი მაგრად მომწონს, იმიტომ რომ რაგბისათვის დაბადებული ერია.

**Cuddles:** საქართველოს ნაკრების მაისურა მინდა.

**საქართველოს ნაკრების მაისურა მინდა**

# ევროპის ჩემპიონატი

## ესპანეთი. 3–16 სექტემბერი. მეორე ჯგუფური ეტაპი

**ნახევარფინალი**

15 სექტემბერი

**ესპანეთი 82:77 საბერძნეთი**

**24:18 17:21 18:21 23:17**

**ესპანეთი:** გასოლი (23), ნავარო (23), კალდერონი (18)

**საბერძნეთი:** სპანულისი (24), ვასილო-პულოსი (10)

**რუსეთი 86:74 ლიტვა**

**25:12 15:21 25:25 21:16**

**რუსეთი:** კირილენკო (28 ქულა, 8 მოხსნა, 3 ჩაჭრა, 3 დაფარება), ჰოლდენი (18)

**ლიტვა:** შიშკაუსკასი (30), კაუკენასი (12)

# ბლატის რუსეთი



**ფუხილ!** რუსეთის ნაკრებმა უდიძაბულეს ბრძოლაში მოუგო მასპინძელ ესპანეთს და პირველად მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული



AFP მატერიალებიდან

ევროპის მოქმედი ჩემპიონი ოქროსთვის ბრძოლას გამოეთიშა, თუმცა მთავარი ნახევარფინალური მოვლენა მაინც რუსეთის გმირობა იყო. საბერძნეთის მასპინძელ ესპანელებთან წაგება თუ მოსალოდნელი იყო, რუსებისგან ლიტველების დამარცხებას ცოტა თუ ელოდა.

რუსებს 1993 წლის შემდეგ ევროფინალში არ უთამაშიათ. მაშინაც წააგეს, ხოლო ბოლო კონტინენტური ტიტული 1985 წელს მოიგეს, როცა საბჭოთა კავშირის სახელით გამოდიოდნენ და ამავ ლიტველებითა და სხვა რესპუბლიკელებით უსაშველოდ გაძლიერებულები გახლდნენ.

„ტურნირის დაწყებამდე ჩვენი მთავარი მიზანი ოლიმპიური ლიცენზიის მოგება იყო, რასაც უკვე მივაღწიეთ და თუკი ფინალსაც ასეთივე შემართებით ვითამაშებთ, ჩვენი შემჩერებელი არავინ იქნება“ — თქვა ლიტვასთან მატჩის გმირმა ანდრეი კირილენკომ, რომელიც მართლაც რომ შეუჩერებელი იყო.

„რუსეთმა ითამაშა დიდებულად, ნამდვილი ევროპული კალათბურთი ამას ჰქვია — გამარჯვებული აღიარა ლიტველთა თავკაცმა რამუნას ბუტაუტასმა — დევიდ ბლატმა დიდი სამუშაო გასწია. მან რუსების პოტენციალი მაქსიმალურად წარმოაჩინა.“

„მე მეამაყება ჩემი მოთამაშეების — ეს უკვე ბლატის სიტყვებია — განსაკუთრებით ისაა კარგი, რომ შევძელი, რუსების მენტალიტეტი შემეცვალა და ისინი დამერწმუნებინა საკუთარ ძალებში.“

ბლატის შეგირდებმა თავიდანვე უდიდეს უპირატესობას მიაღწიეს და მეორე მეოთხედის შუაწელში 19 ქულითაც დაწინაურდნენ, მაგრამ ლიტვამ მაინც მოახერხა გათანაბრება. მესამე ათწუთეულის ახალდაწყებულზე ყველაფერი თავიდან დაიწყო — 52:52.

ამ დროს დადგა ანდრეი კირილენკოს ჯერი, რომელმაც მიჯრით 7 ქულა მიითვალა, დაცვაშიც იყოჩაღა და რუსები პირადად გაიყვანა ევროფინალში.

რუსებმა რომ ჩემპიონატი მოიგონ, უფრო დიდი გმირობის გამოვლენა მართებთ, რაკი ესპანელებს ეთამაშებიან. მასპინძლებმა ნახევარფინალში ბერძნები დაამარცხეს — მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა ევროპის მოქმედი ჩემპიონი დასცა, რაც სამი კაცის — პაუ გასოლის, ხოსე კალდერონისა და კარლოს ნავაროს პირადი დამსახურებაა. ამ ტრიომ ჯამში 64 ქულა მოაგროვა, დანარჩენმა ესპანეთმა კი — 18.

**ირაკლი ბერტაია**

**ფინალი**

**რუსეთი 60:59 ესპანეთი**

**მესამე ადგილისთვის**

**ლიტვა 78:69 საბერძნეთი**



# ბორჯომის თასი

თბილისი. 10-16 სექტემბერი

საპრიზო 10 000 $

## ბორჯომი მიქაძემ დალია



**ფინალი**

**თათია მიქაძე** (საქართველო) — **თინათინ ყაველაშვილი** (საქართველო) 1:6 6:1 7:5

ლეილა მესხის აკადემიის კორტებზე ბორჯომის თასის ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთის წინააღმდეგ თათია მიქაძემ და თინათინ ყაველაშვილმა ითამაშეს. მატჩი ნამდვილად ფინალის შესაფერისი აღმოჩნდა. სამი სეტის განმავლობაში გოგონებმა არც ჩოგნები დაზოგეს და არც ერთმანეთი. შეხვედრა დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა. პირველი სეტი დამაჯერებლად მოიგო ყაველაშვილმა, ხოლო დანარჩენი ორში მიქაძემ იმარჯვა და ბორჯომის თასიც დაისაკუთრა.

**ზურაბ მიგრიაული**

# რუსებს ქალებს ვერ დაუწუნებ

## ზეიმის ულუფა მაშასაც შეხვდა

**ფედერაციის თასი**

**ფინალი**

**რუსეთი 4:0 იტალია**

**ანა ჩაკვეტაძე** — ფრანჩესკა შიავონე 6:4 4:6 6:4

**სვეტლანა კუზნეცოვა** — მარა სანტანჯელო 6:1 6:2

**სვეტლანა კუზნეცოვა** — ფრანჩესკა შიავონე 4:6 7:6 7:5

**ელენა ვესნინა** — მარა სანტანჯელო 6:2 6:4

**გუშინ** მოსკოვის „ოლიმპიისკიში“ ფედერაციის თასის ფინალში მასპინძლებმა გაანადგურეს მოქმედი ჩემპიონი იტალიელები და მათგან თასი გადაიბარეს. სლავებმა უშანსოდ დატოვეს სტუმრები და ქალთა ჩოგბურთის უმაღლეს სანაკრებო ჯილდოს აგერ უკვე მესამედ დაეუფლნენ.

რუსების გამარჯვების შემოქმედნი ახლახან გასრულებული აშშ-ს ღია პირველობის გმირები — ანა ჩაკვეტაძე და სვეტლანა კუზნეცოვა გახდნენ. მოგეხსენებათ, „ფლეშინგ მედოუზზე“ პირველმა ნახევარფინალს უწია, მეორე კი სულაც ფინალში იყო და იქ ჟუსტინ ენინთან დამარცხდა.

თავიდან ჩაკვეტაძემ იხეირა და იტალიელთა ლიდერ ფრანჩესკა შიავონეს ძალიან დაძაბულ ბრძოლაში, მხოლოდ მესამე სეტის მიწურულს გამოგლიჯა გამარჯვება. კუზნეცოვა კი ძალიან მალე გაუმკლავდა მარა სანტანჯელოს და რუსებს უსერიოზულესი უპირატესობაც მისცა — თასამდე მათ ერთი გამარჯვებაღა აშორებდათ.

იმავე კუზნეცოვამ შორს გადადება აღარ ისურვა და თავისიანებს გამარჯვების ქულა თავად მოუტანა, თუმც საამისოდ შიავონეს გაცხარებული წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდა და ამით ფედერაციის თასი ერთწლიანი შესვენების შემდეგ ისევ მოსკოვში დააბრუნა.

სხვათა შორის, რუსებს ტრიბუნებიდან მარია შარაპოვაც გულშემატკივრობდა. მართალია, ნაკრების კაპიტან შამილ ტარპიშევს ის შემადგენლობაში არ შეუყვანია, მაგრამ მოსკოვში მაინც დაპატიჟა და მაშაც, ყველასდა გასაკვირად დათანხმდა: არადა, აქამდე ის ყოველთვის არიდებდა ნაკრებში ჩასვლას თავს. ასე რომ, გუშინ მოზეიმეთა შორის მისი ადგილიც მოიძებნა.

**ძაბა ლოგუაშვილი**



ფორმულა 1. 58-ე მსოფლიოს ჩემპიონატი. მეთოთხმეტე ეტაპი

# ფერარიმ ჩემპიონობა დარბაზში მო-იპოვა




**ადვილი** მისახვედრია, თუ როგორი განწყობით ჩავიდა ბელგიაში „მაკლარენის" პერსონალი. თუმცა მხოლოდ ისინი კი არა, ლამის მთელი საპირველფორმულო სამყარო შოკირებულია „ფერარისთან" ჯაშუშურ სკანდალში დადანაშაულებული ბრიტანული გუნდის უმაგალითოდ მკაცრი დასჯით.

შეგახსენებთ, 13 სექტემბერს პარიზში საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის მსოფლიოს საბჭოს განმეორებით სხდომაზე საბოლოოდ დადასტურდა „ვოდაფონ-მაკლარენ-მერსედესის" მიერ „სკუდერია-ფერარის" კონფიდენციალური ტექდოკუმენტაციის მიღების ფაქტი, რასაც ხელი შეუწყო მაკელთა პილოტების — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ფერნანდო ალონსოსა და მეტესტე პედრო დე ლა როსას ჩვენებებმა. შედეგად საბჭოს ვერდიქტით, „მაკლარენი" მოკვეთილ იქნა წლევანდელი გუნდური, ანუ კონსტრუქტორთა თასის ჩემპიონატისგან — ყველა მოპოვებული ქულა გაუუქმდა და საერთოდ უადგილოდ დარჩა, თან 100 მილიონ დოლარის ოდენობის ჯარიმაც დაეკისრა.

სიმართლე ითქვას, ინგლისური საჯინიბოს ამგვარ მწვავედ დასჯას არავინ მოელოდა. ხოლო ფედერაციის ბოსები — პრეზიდენტი მაქს მოსლი და ვიცე-პრეზიდენტი ბერნი ეკლსტოუნი აცხადებენ, „მაკლარენი" შედარებით იოლად გადარჩაო:

„მათ გაუმართლათ, რომ ჩვენ არ განვუცხადეთ — რადგან შეარცხვინეთ 2007 წლის ჩემპიონატი და თანაც არ ვიცით, ამ ინფორმაციის რა ნაწილს გამოიყენებთ თქვენს მანქანებში, საერთოდ მოხსნილი ხართ ახლანდელი და მომავალი წლის ჩემპიონატებიდან. საბედნიეროდ, საბჭომ ასეთი გადაწყვეტილებისგან თავი შეიკავა, რათა საერთოდ ავტოსპორტის ინტერესები არ შელახულიყო."

ჩინოვნიკების თქმით, გუნდი იმითაც მადლობელი უნდა იყოს, რომ მისი მრბოლებიც არ დასაჯეს და პირადი ტიტულისთვის ბრძოლის შანსი დაუტოვეს. არადა, ლუის ჰემილტონი და ალონსო ხომ აშკარა უპირატესობით უსწრებენ მოსისხლე „წითელი" საჯინიბოს დუეტს.

ჰემიც და ნანდოც, ბუნებრივია, ყველაფერს იღონებენ ჩემპიონატის აბსოლუტური შედეგით (პირველ-მეორე ადგილები) მოგებას, თუმცა გუშინ მათ კიმი რაიკონენისგან და ფელიპე მასასგან ორმაგდუბლიანი (კვალიფიკაციაში და რბოლაში) ისეთი დარტყმა მიილეს, როგორიც თავად აგემეს ფერარელებს ერთი კვირის წინ მონცაში მათსავე ტერიტორიაზე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ბელგიის გრან პრი მე-100 იყო ალონსოს ზღაპრულ კარიერაში, თუმცა იუბილესა და დაფდაფებისთვის მაკელთა მხრიდან ამჯერად არავის ეცალა.



AFP

„სამეფო რბოლების" უგრძეს (7,004კმ) და ერთ-ერთ ყველაზე ჩქაროსნულ, სპა-ს ტრასაზე კვალიფიკაცია რაიკონენმა მოიგო, მისხალი, სულ რაღაც წამის ორი მეასედით აჯობა თავისიან მასას. „მაკელები" სტარტის მეორე რიგში განლაგდნენ.

შეიძლება ითქვას, ერთფეროვან რბოლაში ყველაზე აღსანიშნავი სტარტისას მოხდა: ფერარელებმა მეწინავეობა ადვილად შეინარჩუნეს, მათ უკან კი „მტრებმა" კინაღამ ერთმანეთს ურჩინეს — ჰემილტონმა ალონსოს გასწრება მოინდომა, იმან კი ისე აგრესიულად გაიწია კოლეგისკენ, რომ ლუისს დამცავ ზონაში გადასეირნება მოუხდა; თუმცა უპრობლემოდ დაუბრუნდა ბრძოლას და შემდგომში ძალიანაც არ უცდია „ძმის" გასწრება.

ეს იყო და ეს. წამყვანი ოთხეული როგორი მიმდევრობითაც დაიძრა, ფინიშთანაც ისევე მივიდა.

ასე რომ, „ფერარიმ" დუბლით თავის ყოველმხრივ სანაქებო სარეკორდო ისტორიაში მე-15 გუნდური ჩემპიონობა ვადამდე გაინაღდა, რადგან მეორე საფეხურზე მყოფი „BMW-ზაუბერს" 71 ქულით უსწრებს, თუმცა საწყენია, რომ ეს ტიტული უფრო სასამართლო დარბაზებშია მოპოვებული, ვიდრე ტრასებზე.

**გია ახალაძე**

## რბოლის შედეგები

**ბელგიის დიდი პრიზი**
**16 სექტემბერი. სპა**
დისტანცია 44 წრე — 308,176 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | რაიკონენი (ფერარი) | 1:20.39,1 (229,3 კმ/სთ) |
| 2. | (2) | მასა (ფერარი) | ჩამორჩა 4,7 |
| 3. | (3) | ალონსო (მაკლარენი) | 14,3 |
| 4. | (4) | ჰემილტონი (მაკლარენი) | 23,6 |
| 5. | (6) | ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი) | 51,9 |
| 6. | (5) | როსბერგი (უილიამსი) | 1:16,9 |
| 7. | (7) | ვებერი (რედ ბული) | 1:20,7 |
| 8. | (9) | კოვალაინენი (რენო) | 1:25,1 |
| 9. | (14) | კუბიცა (BMW-ზაუბერი) | 1:25,7 |
| 10. | (10) | შუმახერი (ტოიოტა) | 1:28,6 |
| 11. | (8) | ტრული (ტოიოტა) | 1:43,6 |
| 12. | (13) | ლიუცი (ტორო როსო) | 1 წრით |
| 13. | (17) | ბარიკელო (ჰონდა) | 1 წრით |
| 14. | (19) | სუტილი (სპაიკერი) | 1 წრით |
| 15. | (18) | სატო (სუპერ აგური) | 1 წრით |
| 16. | (21) | დევიდსონი (სუპერ აგური) | 1 წრით |
| 17. | (20) | იამამოტო (სპაიკერი) | 1 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (12) | ბატონი (ჰონდა) | გაიარა 37 წრე |
| (15) | ვურცი (უილიამსი) | 35 |
| (11) | კულჰარდი (რედ ბული) | 30 |
| (16) | ფეტელი (ტორო როსო) | 9 |
| (22) | ფიზიკელა (რენო) | 2 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
რაიკონენი 1:45,994 (237,9 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
მასა 1:48,036 (233,4 კმ/სთ)

## Formula 1

| | ავსტრალია 18 მარტი | მალაიზია 8 აპრილი | ბაჰრეინი 15 აპრილი | ესპანეთი 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | აშშ 17 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 8 ივლისი | ევროპა 22 ივლისი | უნგრეთი 5 აგვისტო | თურქეთი 26 აგვისტო | იტალია 9 სექტემბერი | ბელგია 16 სექტემბერი | იაპონია 30 სექტემბერი | ჩინეთი 7 ოქტომბერი | ბრაზილია 21 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ჰემილტონი (მაკლარენი, დ. ბრიტანეთი) | 6 | 8 | 8 | 8 | 8 | ■10 | ■10 | 6 | ■6 | – | ■10 | 4 | 8 | 5 | | | | 97 |
| 2 ალონსო (მაკლარენი, ესპანეთი) | 8 | 10 | 4 | 6 | ■10 | 2 | 8 | 2 | 8 | 10 | 5 | 6 | ■10 | 6 | | | | 95 |
| 3 რაიკონენი (ფერარი, ფინეთი) | ■10 | 6 | 6 | – | 1 | 4 | 5 | 10 | 10 | ■– | 8 | 8 | 6 | ■10 | | | | 84 |
| 4 მასა (ფერარი, ბრაზილია) | 3 | ■4 | ■10 | ■10 | 6 | – | 6 | ■8 | 4 | 8 | – | ■10 | – | 8 | | | | 77 |
| 5 ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი, გერმანია) | 5 | 5 | 5 | – | 3 | 8 | – | 4 | 3 | 3 | 6 | 5 | 5 | 4 | | | | 56 |
| 6 კუბიცა (BMW-ზაუბერი, პოლონეთი) | – | – | 3 | 5 | 4 | – | | 5 | 5 | 2 | 4 | 1 | 4 | – | | | | 33 |
| 7 კოვალაინენი (რენო, ფინეთი) | – | 1 | – | 2 | – | 5 | 4 | – | 2 | 1 | 1 | 3 | 2 | 1 | | | | 22 |
| 8 ფიზიკელა (რენო, იტალია) | 4 | 3 | 1 | – | 5 | – | – | 3 | 1 | – | – | – | – | – | | | | 17 |
| 9 როსბერგი (უილიამსი, გერმანია) | 2 | – | – | 3 | – | – | – | – | – | – | 2 | 2 | 3 | 3 | | | | 15 |
| 10 ვურცი (უილიამსი, ავსტრია) | – | – | – | – | 2 | 6 | – | – | – | 5 | – | – | – | – | | | | 13 |

ვებერი — 10, კულჰარდი — 8, ტრული — 7, შუმახერი — 5, სატო — 4, ბატონი — 2, ფეტელი — 1 ქულა

■ პოულ-პოზიცია

### კონსტრუქტორთა თასი

| | ავსტრალია | მალაიზია | ბაჰრეინი | ესპანეთი | მონაკო | კანადა | აშშ | საფრანგეთი | დ.ბრიტანეთი | ევროპა | უნგრეთი | თურქეთი | იტალია | ბელგია | იაპონია | ჩინეთი | ბრაზილია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ფერარი | 13 | 10 | 16 | 10 | 7 | 4 | 11 | 18 | 14 | 8 | 8 | 18 | 6 | 18 | | | | 161 |
| 2 BMW-ზაუბერი | 5 | 5 | 8 | 5 | 7 | 8 | 1 | 9 | 8 | 5 | 10 | 6 | 9 | 4 | | | | 90 |
| 3 რენო | 4 | 4 | 1 | 2 | 5 | 5 | 4 | 3 | 3 | 1 | 1 | 3 | 2 | 1 | | | | 39 |
| 4 უილიამსი | 2 | – | – | 3 | 2 | 6 | – | – | – | 5 | 2 | 2 | 2 | 3 | | | | 28 |
| 5 რედ ბული | – | – | – | 4 | – | – | 2 | – | – | 10 | – | – | – | 2 | | | | 18 |

ტოიოტა — 12, სუპერ აგური — 4, ჰონდა — 2 ქულა. მაკლარენი მოხსნილია გათამაშებიდან

## საქართველოს 19 ჩემპიონატი
### უმაღლესი ლიგა
I წრე. 5 ტური

ბორჯომი. 15 სექტემბერი. 16 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი. 1 000 მაყურებელი

### ბორჯომი 3:0 ამერი

| 1:0 ჯიქია (14), 2:0 ხანიშვილი (28), 3:0 გრიგალაშვილი (81) | |
|---|---|
| ბორჯომი: შეყრილაძე, თ. ლონლაძე (გოგიჩაიშვილი 88), ლ. ჭელიძე, ლ. მერებაშვილი, აკობია (ქარქუზაშვილი 44), ბაბუნაშვილი, ნერგაძე, შ. ჯიქია, მემარნიშვილი, კ. ხანიშვილი (გრიგალაშვილი 68), ყველაშვილი<br>სათადარიგონი: გლუნჩაძე; ლომიძე, ნასყიდაშვილი, თედიაშვილი<br>მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე | ამერი: ქვაჩახია, ელბაქიძე (ა. ალავიძე 70), დავითნიძე, დეკანოსიძე, ბოლქვაძე (დავითაშვილი, 63), ტატანაშვილი, დოლიძე (გ. ჯულაძე 74), დობროვოლსკი, დიდავა, კობაური, რ. გოცირიძე<br>სათადარიგონი: ნადირაშვილი; მესხი, ჩიკვილაძე, კაკაშვილი<br>მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე |
| გაფრთხილება: დობროვოლსკი (41), აკობია (41), დავითნიძე (51), ყველაშვილი (58), ტატანაშვილი (59), ჯიქია (65) | |
| მსაჯები: გ. ვადაჭკორია, შ. ქუხილავა, ზ. ჯვარიძე, კ. ქაქუა | |

# კურორტის კოშმარი



# ამერი ბორჯომის ხეობაში ჩაიკარგა

ბაჩანა კობალიას ფოტო

**ილია ნანობაშვილი ბორჯომიდან**

**ბორჯომელმა** თემურ ლონლაძემ კონტრშეტევაზე ოთხი ამერელი მოატყუა, სწრაფადვე მარჯვნივ გადააწოდა შოთა გრიგალაშვილს, ვინც „ამერის“ ლამის კარის ხაზთან მდგარი შოთა ჯიქია მოძებნა, მაგრამ თავდამსხმელმა ქუსლში მოირტყა ბურთი და ორასპროცენტიანი მომენტი გააფუჭა... 86-ე წუთი იყო და კურორტ-ქალაქის ხელოვნურსაფარიან მინდორზე მხოლოდ მასპინძელი თამაშობდა, სტუმარი კი დემორალიზებული იყო.

„ამერის“ მარცხიანობა გრძელდება, არადა, პოლონურ „ბელხატუვთან“ საუეფასთასო მატჩების შემდეგ ამას ვერავინ იფიქრებდა, პირიქით, გლდანელები ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტებადაც მოიაზრებოდნენ, მაგრამ დაიწყო ჩემპიონატი და გიორგი ჩიხრაძის გუნდმა ხუთ მატჩში მხოლოდ ორჯერ მოიგო, ისიც გვარიანი გაჭირვებით. ზოგჯერ კი არა, ხშირად ხდება ასე: კარგი თამაში დათვურ სამსახურს გიწევს, „ამერსაც“ უეფას თასზე ღირსეულად გამოსვლის შემდეგ საქართველო თავისი ეგონა...

„ყვითლებს“ მხოლოდ ტრავმიანი ვახტანგ ხვადაგიანი აკლდათ, მის ნაცვლად გიორგი დავითნიძეს დაცვის ცენტრში გივი დიდავა ამოუდგა, მარჯვენა მცველად კი მიხეილ კობაური თამაშობდა. კვლავ ძირითადში იყო რევაზ გოცირიძე, სულიკო დავითაშვილი კი ჩიხრაძემ 63-ე წუთზე შეიყვანა. „ბორჯომი“ ერთი გამოკვეთილი ფორვარდით, შოთა ჯიქიათი თამაშობდა, მაგრამ იგი, წინაც რომ საფრთხობელასავით მოევლინა სტუმართა მცველებს, ხშირად დაცვასაც ეხმარებოდა და ლონლაძესთან ერთად აშკარად საუკეთესო იყო მინდორზე.

მე-14 წუთზე ჯიქიამ კარგ პოზიციაში მიიღო ბურთი, დარტყმაც შეძლო, მაგრამ ეს მას შემდეგ გააკეთა, რაც დენის დობროვოლსკის ბავშვივით გადაატარა ბურთი თავზე — 1:0.

ბორჯომელთა მეორე გოლისას კი ამერელთა დაცვა უარესად იყო აჭრილი: გიორგი მემარნიშვილმა თავით დაუგდო ყველასგან მიტოვებულ კობა ხანიშვილს, რომელმაც ზურაბ ქვაჩახიას შანსი არ დაუტოვა და ჯერ ნახევარი საათიც არ იყო გასული, „ბორჯომი“ უკვე 2:0 იგებდა.

ამ გოლებს შორის და ტაიმის ბოლო წუთებზე კი „ამერს“ სამი მომენტი შეექმნა და სამივე გრიგოლ დოლიძემ გააცუდა: ჯერ გიორგი დეკანოსიძის პასით ერთი-ერთზე გასულმა კარს ზემოთ დაარტყა, მერე ოდნავ მახვილი კუთხიდან ააცილა, ბოლოს კი კარში არტყამდა თუ პასს აკეთებდა, ვერ გეტყვით, მაგრამ კურორტელთა მეკარე ბექა შეყრილაძემ ააცალა ბურთი.

თუმც ისიც სათქმელია, რომ „ამერს“ ეს მომენტები თითქოს ზეციდან ჩამოუვარდა, გუნდი აშკარად ვერ იყო იმტაზე და „ბორჯომი“ აშკარად ჩაგრავდა. უიმედო სიტუაციაშიც კი, ხანიშვილი და ჯიქია სამ-ოთხ მეტოქესთან ბრძოლაში დაკარგულ ბურთს იბრუნებდნენ.

მოკლედ, თამაში მთლიანად „ბორჯომისა“ იყო და ჩიხრაძის გუნდი მეორე ტაიმის პირველ ნახევარში მოეგო გონს. ისიც, ბურთი დაიჭირეს, თორემ მდევარი გუნდი რომ გასატანად მთელი გუნდით უტევს, ასეთი არ ყოფილა — „ბორჯომს“ დიდი ჯაფა არ დასდგომია.

აი, გოცირიძე, როგორც იქნა, დაუსხლტა მცველს, მაგრამ სადღაც პენალტის ნიშნულიდან რატომღაც მახვილი კუთხისკენ წაიღო ბურთი და იქ დაამთავრა შეტევა, მერე ბოლქვაძის საჯარიმოდან დარტყმული შეყრილაძემ აიღო.

62-ე წუთზე კი მთავარმა მსაჯმა გიორგი ვადაჭკორიამ უცნაური რამ მოიმოქმედა: ამერელთა მიხეილ კობაური ჯარიმას არტყამდა, ხანიშვილი კი უკან არ იხევდა. ვადაჭკორიას არც უცდია დისტანციის დაჭერა, კობაურმაც ხანიშვილს მოარტყა ბურთი, საიდანაც ჯიქიას მიუვიდა და უცებ ერთი-ერთზე შეეყარა ქვაჩახიას, რომელმაც ფეხით მოიგერია მკვდარი ბურთი. ამ მომენტმა სიტუაცია დაძაბა და ფეხბურთელებს ნერვების ტოკვა დაეწყოთ...

„ამერი“ რაღაც პატარა შანსს ეჭიდებოდა, მაგრამ 81-ე წუთზე ყველაფერი დამთავრდა: გრიგალაშვილი ქვაჩახიასთან პირისპირ დარჩა, მოატყუა და ცარიელ კარში შეაგდო. ამ გოლს ამერელთა პროტესტი მოჰყვა, ფეხბურთელები თანამსაჯ ზურაბ ჯვარიძეს მივარდნენ, გრიგალაშვილი თამაშგარეში იყოო. მართლაც საეჭვო ეპიზოდი იყო, თუმც რაღა აზრი...

თამაშგარე კი „ბორჯომის“ მთავარი იარაღი იყო მთელ მატჩში: ამერელები 13-ჯერ მოჰყვნენ ხაფანგში...

## პრესკონფერენცია

*გიორგი ჩიხრაძე:* ცხელ გულზე ანალიზის გაკეთება ძნელია და ახლა არც მაქვს ამის სურვილი. ბევრი შეცდომა გვქონდა, განსაკუთრებით კი დაცვის ხაზში. ჩვენი ბევრი შეტევა თამაშგარეს გამო ჩაიშალა, ბორჯომელთა მესამე გოლზე კი ჯერ კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგან ვიდეოჩანაწერი უნდა ვნახო. ისე, მსაჯებს ნაღდად არ ვაბრალებ მარცხს. და ერთიც, ეროვნული ნაკრებიდან დაბრუნებული ფეხბურთელები დღეს აშკარად ვერ იყვნენ ფორმაში: საერთოდ, როცა ნაკრებიდან ჩემპიონატში ბრუნდები, უფრო იოლი გგონია თამაში, სამწუხაროდ, ჩვენს ბიჭებსაც ასე დაემართათ.

*ვლადიმერ ხაჩიძე:* სანაკრებო პაუზამ სულზე მოგვისწრო. გუნდი შეუთამაშებელი იყო და შესვენება კარგად გამოვიყენეთ. „ამერი“ კარგად გვყავდა შესწავლილი და მადლობა ღმერთს, ყველაფერი გამოგვივიდა. პრობლემები მაინც ბევრი გვაქვს, წარმოიდგინეთ, ნომინალური თავდამსხმელი გუნდში მხოლოდ ჯიქიაა.

# რა პრობლემაა?!

გორი. 15 სექტემბერი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

### სპარტაკი 0:3 დინამო

| 0:1 სპასოევიჩი (60), 0:2 ხაჭიპერიძე (71 ს.კ.), 0:3 აკირემი (85) | |
|---|---|
| სპარტაკი: კოდალაევი, კუპრეიშვილი, ხაჭიპერიძე, ქემოკლიძე, მამუკაშვილი, ხიდეშელი (ავალიანი, 46), თარხნიშვილი, ბახტურიძე, ძარია (მედოევი, 72), გოგოხია, ჯანელიძე (ტატაევი, 67)<br>სათადარიგონი: ქვილითაია; დარბაიძე, თურმანიძე, პარამონოვი<br>მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი | დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი (გ. კაშია, 79), კრშკო, დობეში, დილმელაშვილი, ხმალაძე, ფეიქრიშვილი (სპასოევიჩი, 56), ხუციშვილი, მერებაშვილი (ფირცხალავა, 86), აკირემი<br>სათადარიგონი: გრიშიკაშვილი; თომაშვილი, ოდიკაძე, გონჩაროვი<br>მწვრთნელი: დუშან უგრინი |
| გაფრთხილება: თარხნიშვილი (41), მერებაშვილი (65), ხმალაძე (84) | |
| მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, ლ. მიქელაძე, კ. გაბრიაძე, ვ. ელისაბედაშვილი | |

**ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან**

**ამ მატჩში** „დინამოს“ პრობლემები თითქმის არ ჰქონია, რადგან „სპარტაკმა“ მხოლოდ პირველ ნახევარში შეძლო მისთვის წინააღმდეგობის მაგვარის გაწევა, მეორეში კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა... პირველ 30 წუთში საინტერესო არაფერი მომხდარა, „სპარტაკელები“ ძირითადად სტუმრების იერიშების მოგერიებით იყვნენ დაკავებულნი და აქა-იქ თუ გადადიოდნენ მათ ნახევარზე. ტაიმის ბოლოს კი „დინამოს“ შეტევები უფრო მწყობრი გახდა და ორჯერ მერაბაშვილი და ხუციშვილი სახიფათოდაც უტევდნენ. 42-ე წუთზე კი შეიძლებოდა, ანგარიში გახსნილიყო, რადგან მცველებმა საჯარიმოში შეჭრილი აკირემი წააქციეს. პენალტი თითქოს უეჭველი იყო, მაგრამ არბიტრმა მხოლოდ საჯარიმო დარტყმა დანიშნა, რომელიც ხმალაძემ უზუსტოდ შეასრულა.

მეორე ნახევარშიც ისევ „დინამო“ უტევდა და მე-60 წუთზე შეცვლაზე ახალშესულმა სპასოევიჩმა გახსნა ანგარიში. იგი ფლანგიდან შეიჭრა „სპარტაკის“ საჯარიმოში და პირითი ხაზიდან უკან შემოაბრუნა ბურთი, რომელიც მერებაშვილმა კარის მიმართულებით დაარტყა. ბურთს კი უკვე შორეულ ძელთან მდგარმა სპასოევიჩმა შეუცვალა მიმართულება — 0:1.

ამის შემდეგ „დინამოს“ უპირატესობა აშკარა გახდა. 71-ე წუთზე დილმელაშვილმა კარგად მოაწოდა კუთხური, მცველებმა ბურთი ვერ მოიგერიეს, ის ფეხზე მოხვდა ხაჭიპერიძეს და კარში შეგორდა — 2:0.

ამ შემდეგ „დინამოს“ უპირატესობა სრულზე სრული გახდა, კობა ჟორჟიკაშვილმა შეცვლებსაც მიმართა, მაგრამ ამას სახეირო არაფერი მოჰყოლია. პირიქით, ბოლოსკენ, 85-ე წუთზე მერებაშვილ-აკირემის კომბინაცია გაბონელის მეკარესთან პირისპირ შეყრით და „დინამოს“ მესამე გოლით დასრულდა.

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა — I წრე. 5 ტური

თბილისი. 15 სექტემბერი. 16 საათი. მერანი. 700 მაყურებელი

## მერანი 2:1 ბათუმი

1:0 გოჩაშვილი (22), 1:1 გალოგრე (75), 2:1 ხუჭუა (77)

**მერანი:** სეფიაშვილი, ლოლაძე, კობიაშვილი, გიგაური, სალარიძე, ბესარაშვილი (ლომაშვილი 57), ჯანგიძე (ფურთუხია 73), ტყეშელაშვილი, სევასტოპულო (ხუჭუა 68), ფლენტი, გოჩაშვილი
სათადარიგონი: თევდორაძე, დეისაძე, კობახიძე, ნოზაძე
**მწვრთნელი:** დავით ეჯიბაშვილი

